# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 664

"20" დეკემბერი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა №50-ის მიმდებარედ 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.11.017.021) პირდაპირი განკარგვის წესით, ნატალია კამკამიძისთვის (პ/ნ: 01008007223) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქ. თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა №50-ის მიმდებარედ, 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.11.017.021) პირდაპირი განკარგვის წესით, ნატალია კამკამიძისთვის (პ/ნ: 01008007223) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 4 დეკემბრის №24.2059.2306 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა №50-ის მიმდებარედ 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.11.017.021) პირდაპირი განკარგვის წესით ნატალია კამკამიძისთვის (პ/ნ: 01008007223) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, კიბის უჯრედის ფუნქციონირების მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 432 (ოთხას ოცდათორმეტი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე